რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.
ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐ: სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.
ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тиф. лисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲓᲠᲝᲔᲑᲐ

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲗ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.
ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: ... ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲐ“

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ: თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მან., 1/2 წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲔᲚᲘᲓᲐᲛ

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 15 თებერვალს. მთავარი კვარტირა დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძისა გადაიტანეს დღეს სან-სტეფანოში, სადაც მოეიდნენ რუსისა და Ოსმალოს დანდობილი პირები შერიგების თაობაზე მოსალაპარაკებლად. რუსის პოლკოვნიკი პანტაკუზენი გუშინ მოვიდა სან-სტეფანოში წესის დასადგენად თუ როგორ უნდა შევიდნენ სტამბოლში რუსის ჯარები. Ოსმალოს ჯარები მაკრიკიოიში გადადიან (სტამბოლიდამ 4 ვერსზე, მარმარილოს ზღვის ნაპირზე).

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 თებერვალს. Ინგლისის დღევანდელი გაზეთები თითქმის დარწმუნებითა ამბობენ, რომ ომი იქნებაო, რადგან რუსეთი ისეთს პირობებს თხოულობსო, რომელზედაც Ინგლისი ვერ დათანხმდებაო. სამინისტროს გაზეთები პირ-და-პირ თხოულობენ, რომ Ინგლისმა რუსეთს ომი გამოუცხადოსო. Გაზ. „Times“ ამბობს, რომ მშვიდობიანობის დამყარება რუსეთზედ არის დამოკიდებულიო; თუ ის ზომიერ პირობებზე დათანხმდება, მაშინ შესაძლებელიაო ევროპაში ხელ-ახლად სისხლის ღვრა არ მოხდესო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 13 თებერვალს. Ინგლისის ახლანდელი ელჩი საფრანგეთში ლორდი ლიონსი დანიშნულია ბრიტანიის წარმომადგენლად მომავლს კონფერენციაზე.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ, 14 თებერვალს. „ჰავასის სააგენტო“ გვარწმუნებს, რომ მორიგების პირობა დღეს იქნება სან-სტეფანოში ხელ-მოწერილიო. დ. მ. ნიკოლოზ ნიკოლოოზის ძე სტამბოლში ეწვევა ხონთქარს.

ᲝᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

Ამ უკანასკნელი ორი დღის განმავალობაში მოსულ ტელეგრამების ნამდვილ ჰაზრს ვერ გაიგებს კაცი: სტამბოლიდამ და პეტერბურღიდამ იწერებიან, რომ სრული მშვიდობიანობა არისო, ამ დღეებში რუსეთსა და Ოსმალეთს შუა მორიგებას უნდა მოველოდეთო; Ლონდონიდამ და Ვენიდამ კი მოგვდის ამბავი, რომ საქმე ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ დღე-დღეზე Ინგლისი და Ავსტრია, უეჭველია, რუსეთს ომს გამოუცხადებენო.

Მეორეს მხრით ერთი ტელეგრამმა გვაცნობებს, რომ მარტო დ. მ. ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე თავის ამალით აპირებს სტამბოლში შესვლასაო, და მეორე ტელეგრამმა კი გვაცნობებს, რომ რუსის ჯარისათვის სტამბოლში ყაზარმებს ამზადებენ და მორიგების პირობას სტამბოლში უნდა მოაწერონ რუსისა და Ოსმალოს წარმომადგენლებმა ხელიო.

Ამ ნაირად გადაწყვეტით თქმა, რომ ომი იქნება ან არ იქნებაო, ჯერ არ შეიძლება, სანამ საქვეყნოთ არ გამოაცხადებს რუსეთი თავის საბოლოო შერიგების პირობებს და სანამ ამ პირობის შესახებ Ინგლისი და Ავსტრია ან თავის თანხმობას არ გამოაცხადებენ და ან იმის დასარღვევად ხრმალზე არ მოიკიდებენ ხელს...

—

„Indépendance Belge“-ში დაბეჭდილია ქვემო მოყვანილი დეპეშა, რომელიც ამ გაზეთს 7 თებ. მიუღია ბერლინიდამ:

„Აქ ნამდვილად ამბობენ, რომ გერმანიასა და Ავსტრიას შუა უკანასკნელ დროს მეგობრული დამოკიდებულება დამყარდაო. Ამბობენ, რომ, თუ რუსეთსა და Ავსტრიას შუა განხეთქილება მოხდა, გერმანია რუსეთისათვის ხელს არ გაანძრევს და გარეშე მაყურებლად დარჩებაო.

„Ეს რომ ჭკუაზედ ახლოს უნდა იყოს, იქიდამაც სჩანს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში აღმოსავლეთის საქმეების შესახებ Ავსტრია უფრო მტკიცედ და გაბედულად ლაპარაკობს თავის „ინტერესებზე“, ვინემ დღემდინ ლაპარაკობდა.“

—

Ფრანცუზულს გაზეთს „Le Temps“-ში დაბეჭდილია Ვენიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელშიაც შემდეგი სიტყვებია ნათქვამი:

„Ინგლისის ფლოტმა გაიარა Დარდანელის წყალი და სტამბოლის მახლობლად დგას. Პოლიტიკური საქმეების მცოდნე პირები დარწმუნებული არიან აქ, რომ ახლა რუსის ჯარებიც შევლენ სტამბოლში.

„რა გამოვა აქედამ? ნამდვილის თქმა ძნელია; მაგრამ საფიქრებელი კია, რომ რუსებს და ინგლისელებს სტამბოლში ერთმანეთის დანახვა არ ეჭაშნიკებათ და ამათ შორის განხეთქილება, ბრძოლა ატყდება. Მაშინ, როგორც ამბობენ, Ოსმალეთი განზე გადგება (ნეიტრალიტეტს გამოაცხადებს) და ამ თავის სტუმრებს შიანებებს ერთმანეთს... რაღა თქმა უნდა, რომ იმ წამსვე Ავსტრიაც ჩაერევა ამ ბრძოლაში; იმას Ტრანსილვანიაში ჯარები მზათა ჰყავს; Ინგლისი კი შავს ზღვაზე იმოქმედებს თავის ფლოტით.“

—

Პარიჟიდამ მოსული დეპეშა გვატყობინებს, რომ ამ დღეებში Ინგლისის ტახტის მემკვიდრე Უელსის პრინცი გერმანიაში აპირებს წასვლასო იმ განზრახვით, რომ იმპერატორს Ვილჰელმს აცნობოს—თუ რა პირობებზე დათანხმება შეუძლიან Ინგლისს და თუ იმ პირობებზე არ დაკმაყოფილდა რუსეთი, მაშინ Ინგლისი იძულებული იქნებაო, რომ, თავის ღირსებისა და სარგებლობის დასაცველად, იარაღს მოჰკიდოს ხელიო.

—

Გაზეთს „Polit. Corresp.“-ში იწერებიან Ბელგრადიდამ:

„Აქაურს (სერბიის) მართებლობას წინადადება მოუვიდა რუსეთისაგან, რაც შეიძლება მომეტებული ჯარები მოაგროვოს საჩქაროთ და ყოველ შემთხვე-

ვისათვის დამზადებული იყოს საომრად. ამის გამო დათხოვნილი აფიცრები, რეგულიარული ჯარები და მილიციები მოიწვიეს და ბელგრადში ყოველ გვარ საომარ მასალებს ამზადებენ."

შერიგების თაობაზე

„Indépen. Belge"-ში იწერებიან ლონდონიდამ 4 თებერვალს:

„ინგლისის ხალხმა აღტაცებით მიიღო დერბის გამოცხადება, რომ, თუ საჭიროება მოითხოვს, ინგლისი დაიჭერს თავის ჯარებით სტამბოლსა და გალიპოლს. ინგლისის მმართებლობა ყოველ ღონის-ძიებას იხმარს, რომ დარდანელის წყალი არ შეაკვრევინოს რუსეთს. თუ რუსეთმა ბოსფორისა და გალიპოლის დაჭერა განიზრახა, უეჭველია, რომ ომს უნდა მოველოდეთ. ლამანშის ხომალდები დამზადებული არიან და მოუვათ თუ არა ბრძანება, იმ წამსვე გალიპოლისაკენ გასწევენ და 50,000 კაცს გამოუყვანებენ ნაპირზე."

—

ლონდონის გაზეთი „Daily Telegraph", რომელიც ახლანდელ სამინისტროს ყველაფერში თანაუგრძნობს და რუსეთთან ომის გამოცხადებას თხოულობს, ამბობს, რომ ინგლისის ჯარებმა გალიპოლის ნახევარ-კუნძული უნდა დაიჭირონ, რადგან უამისოთ ბოსფორში მყოფი ინგლისის სამხედრო ფლოტი დამწყვდეული იქნებაო.

ამავე გაზეთის ჰაზრით, სანამ რუსის ჯარები სტამბოლს არ მოშორდება, მანამ კონგრესის შეკრება არ მოხერხდებაო.

—

გაზეთს Daily News"-ში 2 თებერვალს იწერებიან პარიჟიდამ:

„რამდენჯერმე გაგზავნეს რუსებმა დანდობილი პირები იზმაილ-ფაშასთან არზრუმის დასათმობად, თანახმად დროებით შერიგების პირობებისა; მაგრამ იზმაილ-ფაშა სულ იმას ამბობს, რომ სტამბოლიდამ ჯერ არაფერი მოწერილობა არა მაქვსო. მაგრამ ნამდვილად ამბობენ, რომ ამ თვის შუა რიცხვებამდის არზრუმიდამ გავლენ ოსმალოს ჯარები და რუსები დაიჭერენ ამ ერთ-დროს სომხეთის სატახტო ქალაქსაო."

საქართველო

დღიური

⁂ ბექათუბნიდამ სურამამდინ თოვლისაგან მეკრული რკინის გზა წუხელი გაუკვალავთ იმდენათ, რომ დღეს ქუთაისის ფოჩტა მოვიდა. ახლაც მუშები ადგანანო და იმედი აქვთო, რომ ამ ორსამ დღეში სრულებით გაწმენდენ, რადგან თოვლი შეწყდაო.

⁂ 1 თებერვალს ჰასან-ყალაში მოკვდარა სახადით მცირე აზიაში მოქმედი არმიის არტილლერიის უფროსი ღენერალ-მაიორი ზუბკი.

⁂ ჩვენს გაზეთში იყო აწერილი ის გაცხარებული ჩხუბი, რომელიც მოხდა ამას წინათ ბაქოში იქაურ მუსულმანებსა და პოლიციას შუა. ბაქოს გაზეთი გვაცნობებს ახლა, რომ ამ ჩხუბის თაობაზე გამოძიება ამ დღეებში გათავდებაო და ეს საქმე სამხედრო სასამართლომ უნდა განიხილოსო.

⁂ მკითხველს არ ექნება დავიწყებული იმ საცოდავი ახალგაზდა ბ—ის ქალის გარემოება, რომელიც დედისაგან მოძულებული და განდევნილი, ვიღაც მეფურნესთან მივიდა ლუკმა პურის სათხოვნელად და რომელიც ამ მეფურნისა და იმის ამხანაგებს მხეცობის მსხვერპლად შეიქნა; ეხსომება აგრეთვე ისიც, რომ ეს ქალი ავათ გახდა და ქალაქის საავათმყოფოში დააწვინეს. „თფილისის განცხადებანი" გვაცნობებენ ახლა, რომ ბ—ის ქალი სრულიად განთავისუფლდა ავათმყოფობის განაო და შეუძლია საავათმყოფოდამ გამოვიდესო—მაგრამ სად წავიდეს, ვისთან უნდა შეიფაროს თავიო?

⁂ ზოგიერთი ჩვენი მკითხველები გვატყობინებენ, რომ თქვენს გაზეთში გამოცხადებული მაზანდა ხშირად არ ეთანხმება იმ ფასებს, რომელსაც თფილისის ბაზარში თხოულობენო.

საჭიროთ ვრაცხთ მოვახსენოთ ამ პირთ, რომ ეს მაზანდა (ტაქციები) ჩვენთან მოაქვთ იმ სავაჭრო ბუტკებიდამ, რომელიც იარმუკაში, შუა-ბაზარში, პურის მაედანზე და სხვ. არის გამართული და რომელშიაც გამოცხადებულია ქალაქისაგან გამოცემული და დაწესებული ფასები. მაგრამ, საუბედუროთ, ამ ფასებს, ამ ტაქციას ჩვენი ვაჭრები სრულებით არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, ხშირად თავის ნებით ფასებს უმატებენ ხორაგეულს და სხვა საქონელს;—და აი აქედამ წარმოსდგება ის განსხვავება, რომელსაც შენიშნავთ ჩვენს მაზანდასა და ბაზრის ფასებს შუა.

ორიოდე სიტყვაც თამბაქოს მაზანდაზედ: ის მაზანდა, ფუთი 8 მან., რომელიც დღევანდელს გაზეთში არის დანიშნული, ადგილობრივი, საშუალო თამბაქოს ფასია. კარგი თამბაქო ადგილობრივი 15 მანეთ ზევით არ ფასობს ფუთი, მდარე თამბაქო 5-6 მანეთ, ქვევით არ იყიდება. ოსმალოს თამბაქო კი, ფუთოლი, 20-30 მანეთად იყიდება ფუთი; მაგრამ ახლა ოსმალოდამ ჩვენში თითქმის სულ აღარ მოდის თამბაქო.

„დროების" კორრესპონდენცია

გორი, 12 თებერვალს. აგერ ორი წელიწადია, რაც გორში სამოქალაქო უპრავა დაწესდა, რომლის თავათაც არის დანიშნული უ. მლიმირზოვი. რაც შეეხება ამის მოვალეობას მარჯვეთ მიჰყავს ქალაქის საქმე; ისეთ ნაირათ ბეჯითად უჭირამს ანგარიშები ქალაქის შემოსავალ-გასავლისა, როს გულით რომ მოინდომოს ვინმემ, კაპეიკს ველარ ასწაპნის. ამისი კეთილი შრომა დღეს ნამდვილათა სჩანს; გორში [illegible] მოამსწრე არარის, რომ ამ ქალაქს [illegible] ფული ერთათ ჰქონდეს, რადგანაც გაკვრა-გაგლეჯა იყო: ვინც დეპუტატი დადგებოდა იმ წლისავე შემოსავალს ის შესჭამდა და ცარიელ კასსას თავს დაანებებდნენ. ახლა თუ რამ შემოსავალი არის, ინახება გორის ხაზინაში; შეგვიძლიან ვთქვათ ცოტაოდენი ფული უჭყავას ახლა გორისა.

ეს ძალიან კეთილი, მაგრამ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ, რადგანაც ქალაქის თავი გორელი არ არის და აქაური გარემოება არა იცის-რა და ესკი ცოტათი აკოჭლებს ამის ნამდვილს შრომას ამისათვის, რომ ბევრნაირი გაჭირება აქვს გორსა, ბევრნაირ უბედურებასაც მოელის დაამისათვის კი ვერას ზრუნავს; ბეჯითი ანგარიშები ძალიან კარგი გახლავს, მაგრამ მარტო ეს არა კმარა, თუ კვიტანციის დავთრებით ფული მოგროვდება და ჩვენ კი არას გამოგვადგება: არ გაგიგონიათ: „ჩვენი ურგები ქოთანი ქვასაო და შეჭამადი ძაღლსაო!" ესეც ხომ გაგიგონიათ: „გინდა მკვდარი გინდა შინ არ მოსულიო!"

ჩვენ კი არ უნდა მოველოდეთ გამოზაფხულებას, ჩვენ კი არ უნდა მოველოდეთ, როგორც ამბობენ, ახალ გაჩენილს ჭირსა და სენსა? შორს გახლამს ქალაქი, ჩვენ კი ვერ მოგვაგნებს? ჩვენ კი არ უნდა ვიზრუნოთ ჩვენის ჯანის სიმრთელისათვის, როგორც სხვა ქალაქები ზრუნამენ?

გორის გამგეობამ უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. ხაზინაში ფულების შენახვაც კარგია, მაგრამ ნანუანთი, ოსინაანთი, ბეგალაანთი, და ხითარაანთ ორღობებიდგან ორ არშინზედ დამპალი და აყროლებული ნაგვის გატანა და ქალაქის გასუფთავება უფრო კარგია; დუქნების ერდოების გასუფთავებაზედ აღარას ვიტყვი,—ეს შუა ქალაქშია, სუნს არ უშვებს; და ყასბები რომ შუა ქალაქში საქონელს ხოცვენ და ამ სისხლის სუნით ხალხი იხჩობა, ესეც ამაფერია.. ჩვენი ქალაქის თავი მოშორებით დგას, იქნება არც კი იცოდეს.

საჭიროა და ძალიან საჭიროა, რომ ყასბებს აუკრძალონ ქალაქში საქონლის ხოცვა, გაუკეთონ ქალაქს გარეთ ერთი საკლავი ადგილი,—შენი ჭირიმე, არა აქვს გორს ადგილები! დიდი ფული არა უნდა-რა. ამ ჩლენებს ის ეჩქარებათ თვის ოცი მალე მოვიდეს ჯამაგირები აიღონო.

საკვირველია, ამ ქალაქის გამგეობის ოთხივე ჩლენები აქაურები არიან, რატომ ესენი მაინც არას ფიქრობენ ქალაქის ჯანმთელობისადაგანმშვენიერებისათვის! მაგრამ, როგორც მესმის, ამათშიაც უთანხმობა არის: ერთმა რომ სწორე სთქვას სამი ბრუნდეს იტყვის და, უეჭველია, სამის ხმა მეტია, და ამის სწორე ლაპარაკი დაკეტილ ყუთში დარჩება... ყურადღების ღირსია აგრეთვე გორის ძველის-ძველად დახურული ბაზარი, რომელიც ზოგი დაიქცა და ზოგიც დაქცე-

ეას აპირებს. რატომ არ მიიღებენ საშუალებას, რომ ხალხი არ დაიტანოს, არ ახსომთ ამათ, შარშან რომ ხე ჩამოვარდა და ერთ გლეხს ფეხზე დაეცა და ორ დღეს უკან თქვენი ჭირი წაიღო? არ ახსომთ, რომ ჩამოიქცა და ერთი ფეხით გაასწრო საპყრობლის ზედამხედველმა და სალდათებმა და არ დაიტანა! ესენი უნდა დაეტანა, მაშინ ფაცი-ფუცი შეუდგებოდათ.—ის გლეხი არცკი მოჰგონებიათ, ვინ იყო ხომ გაგიგონიათ—ღარიბის გაჩენაშიო, ქართული ანდაზა არის, ღმერთი არ ურევიაო: რას გაუძნელდათ ამისი ჩამოშლა: ერთი დურგალი და ორი მუშა ჩამოშლის ერთს დღესა და ნოეს დროის დამპალს ფიცრებს პატრონები წაიღებენ, მერმე ამ შეშის სიძვირეში. მე კიდევ იმედი არა მქონდა, აქამდინ თუ ამ ბაზრის ჩამოშლას იზრუნამდნენ, მაგრამ ეხლა-კი იმედი მაქვს ჩვენი სურვილი შესრულდება; რადგანაც გუშინ ერთ არშინზე მეტი თოვლი მოვიდა ბორში და დღესაც გაუწყვეტლივ თოვლს და იმის მიზეზით მაინც ჩამოშლიან თუ არა და იქნება აღარც მოუნდეთ შეწუხება და თითონ ამ თოვლმა დაამძიმოს და ჩამოანგრიოს, მაგრამ ვის დაიტანს, ის ღმერთმა იცის...

ბორელი

უცხო ქვეყნები

ინგლისი

რადგანაც ასეთი გაცხარებული ლაპარაკია ინგლისში ომზედ, რუსეთთან მომავალს შეტაკებაზედ, ამის გამო პირველი ყურადღება ამჟამად ინგლისის სამხედრო ძალაზედ არის მიქცეული.

გაზეთს „Times“-ში დაბეჭდილია ამის თაობაზე ძლიერ საინტერესო სტატიები პოლკოვნიკის შელსლეისა, რომელიც ამტკიცებს, რომ ინგლისს რამდენიმე კვირის განმავლობაში შეუძლია სრულიად დაამზადოს საომრად 128,000 კაცი და თავის ფანგარიშო სამხედრო და სავაჭრო ხომალდებით მიიყვანოს ეს ჯარი, საცა საჭირო იქნებაო.

ეს ქვევითა ჯარი; ცხენოსანი ჯარის დამზადება და ბრძოლის ველზე გაგზავნა უფრო ძნელია და უფრო დიდ დროს მოითხოვს, ხსენებული სტატიების ავტორის ჰაზრით.

ამას გარდა ინგლისს შეუძლია გამოიყვანოს კიდევ 300,000 მილიცია; მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მილიცია, კანონის ძალით, ვალდებული არ არის თავის ქვეყნიდამ სადმე წავიდეს საბრძოლველად; ის მხოლოთ მაშინ გამოვა ბრძოლის ველზე, როცა მტერი თვითონ ინგლისს მიადგება.

ინგლისს ჰყავს აგრეთვე 100,000 კაცამდინ ინდოეთში, მაგრამ ვერც ამ ჯარს დაანძრევს, რადგან ინდოეთის უჯაროთ მიტოვება არ შეუძლიან.

ამნაირად, შელსლეის ჰაზრით, ინგლისს შეუძლია ბრძოლის ველზე პევრი-პევრი 150,000 კაცი გამოიყვანოს კარგათ გაწვრთვნილი და დაიარაღებული. და ამ ჯარით ის ვერას დააკლებს რუსეთს; მაგრამ ამ მხრით იმას ავსტრიის იმედი აქვს...

ოსმალეთი

მოგეხსენებათ, რომ მთავარი ვეზირის თანამდებობა მოსპო ახლა ხონთქარ აბდულ-ჰამიდმა და იმის მაგიერად დააწესა, როგორც სხვა კონსტიტუციურ სახელმწიფოებშია, პირველი მინისტრის თანამდებობა, რომელიც ახმედ-ვეფიკს მიანიჭა. ფრანცუზულს გაზეთს „La France“-ში იწერებიან, რომ თვითონ ახმედ-ვეფიკი და მთელი იმის ახლანდელი სამინისტრო ინგლისის თანამგრძნობელნი და მომხრენი არიანო, და ამის გამო ინგლისელ ელჩს ლეიარდს დიდი გავლენა აქვს ამ ჟამად ოსმალეთის სახელმწიფო საქმეებზედაო.

— სულთანს აბდულ-ჰამიდს უჩუქებია მუხთარ-ფაშისთვის, რომელსაც ახლა სტამბოლის დაცვა აქვს მინდობილი, ოსმანის ხმალი, რომელიც სულთან მაჰმად მეორედამ დაწყებული ერთი ხონთქრისგან მეორე ხონთქრის ხელში გადადიოდა. ამ ხმალზე თურმე ზედ წარწერილია, რომ მხნე მუხთარ-ფაშას ვაჩუქე ეს მე „ოსმალეთის კონსტიტუციის დამფუძნებელმაო“.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო!

1876 წელს გაიხსნა ქუთაისში უპრავა და, როგორც მოგეხსენებათ, პირველად იყო რჩევა ხმოვანებისა. სხვათა შორის იყარა კენჭი უფალმა ს. ღულაძემ და ორ გზის გაუშავეს; მესამედ მოაგროვა რაც სოფლელები იყვნენ და ბევრი ცდის შემდგომ იშოვნა ხმოვანობა.

შემდეგ იყო რჩევა სეკრეტრისა; ჩვენდა საუბედუროთ, პარტიების ერთმანერთის ჯიბრით, კარგი სასეკრეტრო კაცები გააშავეს და ხსენებული ღულაძე ამოირჩიეს, შემოვიდა თუ არა უპრავაში, გაიჩინა ერთი საკუჭნაო ოთახი. დილით ცხრა საათზე მივიდოდა, ათი კაცი უკან მისდევდა და იმ თავის ოთახში მთელი დღე აპელაციებს და პროშენიებს სწერდა და ყველა მწერლები იმის საწერს უნდებოდნენ... თუ რომელიმე დღე გამოერეოდა, რომ ვერა ეშოვნა-რა, ვაი იმ დღის მომსწრეს: სტოროჟიდან მოკიდებული ჩლენამდი ყველას დაღრინამდა და ილანძღებოდა; იმისი ყვირილი ისრე გადიოდა გარეთ, რომ ბულვარში ხალხი დაგროვდებოდა და სეირს უყურებდა. ორი წლის განმავლობაში იმას ისე არ გაუკეთებია-რა ჩვენს უპრავაში, როგორც თქვენ.

1877 წელს, ნოემბრის 30-ს, იყო მეორეთ რჩევა სეკრეტრისა; ჩვენი მყვირალა სეკრეტარი, რასაკვირველია, გააშავეს და მის ნაცვლად აარჩიეს უ. ქანდელაკი და იმის გასვლის დღიდან ვიქმენით მოსვენებულნი.

ახლა ეს გარდაყენებული სეკრეტარი უფ. ღულაძე უჩივის უპრავას, რომ უკანონოთ იყო სეკრეტრის არჩევაო. მაგრამ ამას თავი დაანებოთ [illegible] გვაძლევს ეს კაცი მოჩვენებას: [illegible] თუ არა დუმის (რჩევის) სხდომა, უფ. ღულაძე და იმის მომხრე ორი თუ სამი ხმოვანი ცალკე დაიდგმენ სკამებს და თუ რაიმე სჯა იქნება, უ. ღულაძე წამოვარდება ფეხზედ და ხელების ქნევით დაიყვირებს და ესენიც ზანს მისცემენ, რომ სხვისი ლაპარაკი არავინ გაიგონოს; ხშირად ისეთს პირადს ლანძღვას შეჰქმნიან, რომ სხვა ხმოვანნი თავს ანებებენ სხდომებს და მიდიან შინა და ზოგნი ყურებში თითებს იცომენ და შედიან სხვა ოთახებში, რომ თავი მოარიდონ უკმაყოფილებას და შეუსაბამო ლაპარაკს..

ამას იმიტომ გწერთ, უფ. რედაქტორო, რომ იქნება რამე საშუალება გვასწავლოთ, რომ ეს უფ. ღულაძე მოვიცილოთ თავიდამ და ამით ჩვენი ქალაქის საქმეები უფრო წესიერათ წავიყვანოთ *).

ერთი ხმოვანთაგანი

ნარევი

ამერიკაში და ინგლისში შკოლების ყმაწვილებისაგან შეუდგენიათ პატარ-პატარა საზოგადოება, ანუ ამხანაგობა, რომლის დანიშნულება თურმე ის არის, რომ ადამიანისათვის გამოსადეგი შინაური და გარეული საქონელი და ფრინველები შეიბრალონ და არ მოკლან.

ახლა ამისთანა საზოგადოებები საფრანგეთშიაც შეუდგენიათ სოფლის და ქალაქის შკოლების მასწავლებლებს სახალხო მინისტრის წინადადებითა. სულ 500 საზოგადოება არის ამისთანა საფრანგეთის სხვა-და-სხვა ალაგებშიო. ამათი წესდების უმთავრესი მუხლი, სხვათა შორის, შემდეგია; ტყუილი არა სთქვან; ცუდი სიტყვები არ იხმარონ ლაპარაკში (არ შეაგინონ არავის); ყოველ გვარი სუსტი სულდგმული და ცხოველი დაიცვან წვალებისა და გაჭირებისაგან, რითაც კი შეიძლებენ და სხვ.

*
* *

გაზეთს „გოლოსში“ დაბეჭდილია შემდეგი ნაამბობი ოსმან-ფაშისა, რომელთანაც ხსენებული გაზეთის კორრესპონდენტს ჰქონია ლაპარაკი ხარკოვში:

„რუსულ გაზეთებში სწერენ თურმე, რომ ჩვენ, ოსმალები, ვაწამებდით ქრისტიანებს, ცოცხლებს ვმარხავდით და სხვა ბარბაროსობას ჩავდიოდით ამ ომის დროს. მე შემიძლიან დაგარწმუნოთ თქვენ, რომ არც პლევნოში და არც სხვა ადგილებში ამისთანა ჩვენს ჯარს არა მოუქმედნია-რა. ბაშიბუზუყებმა და ჩერქეზებმა, მართალია, რამდენჯერმე ჩაიდინეს ამ გვარი მხეცობა და ამისთვის რამდენიმე იმათგანი დავხვრიტეთ. მაგრამ ამისთანა საქმე, როგორც ნამდვილად ვიცი, თქვენმა ყაზახებმაც არა-ერთხელ ჩაიდინეს; ამის მოწმებიც არიან და დამტკიცება ადვილია.“

*) სხდომებზე წესიერების დაცვა თავსმჯდომარის მოვალეობა არის. რედ.

თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათმყოფ., ქიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

ახალი ტაქსა გირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე დაამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დროებითი ტაქსა.

	ფაეტონის		დროჟკის	
ერთი გზა	40	კაპ.	25	კაპ.
საათი	80	„	55	„
ქალაქიდამ—ნავთლუღს	80	„	50	„
— მუშტაიდამდინ —	60	„	45	„
— მუშტ. და უკან ½				
საათი გაჩერება 1 მან.	20	„	90	„
რკ. გზიდამ ნავთ.—2	„	—	„ 1 მან.	50 „
—დაშოტნამდინ— 1	„	50	„ 1 „	— „
—ქალაქ. ყველგან 1	„	—	„ — „	70 „
რკ. გზამდინ ქალაქ.—	„	80	„ — „	50 „
— ნავთლუღიდამ 1	„	50	„ 1 „	— „
რკინის გზაძდინ და				
უკან — — — 1	„	30	„ — „	90 „

შენიშნვა ა). ორ ფუთამდინ ბოგაჟისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ეისმე.

შენიშნვა ბ). ნაშუალამეევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაეტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

განცხადებანი

აბრაშუმის ჭიის თესლი (კვერცხი) **იტალიის** მოდგმისა, საღი ისყიდება **კავკასიის სამეურნეო საზოგადოების** სადგომში (ალექსანდროვის ბაღში, უფ. მირსკის პირ-და-პირ).

ფასი თითო მისხლისა **ექვსი შაური** ერთს კაცს 10—15 მისხალზე მეტი არ მიეყიდება.

(2—2)

ისყიდება

სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ფასი ორი შაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, **და ქუთაისში**, ი. მესხი.

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; **რომ** გვსურს **ყარაიაზის მამული** ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ **რომ 16,000** დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, **რომელნიც** მომეტებული ნაწილი **სარწყავი** მამულებია.

გაყიდვის პირობა და **ფასი** უჩასტკებისა ისევ **ძველი რჩება.**

ვისაც ამ მამულების შესახებ ფასურს და დაწერილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, **ბანოვის ქუჩაზე**, სახლი №7, ანუ **ეარაიაზის** გამგებელთან **ივანე** სტეფანეს ძეს ხატისოვთან—**თფილისში**, ლაბარატორიის ქუჩაზე, №15.

გასასყიდი უჩასტკები:

არხი	უჩასტკა	დესიატინა
3	№ 5	44
4	№№ 6,7,8 და 9	457
5	„10,11,12,13,14 და 15	547
6	18 და 20	100
7	27	51
9	41	131
10	47	50
11	53 და 58	170
14	8186	584
15	87—დამ 95—მდინ	950
16	101,102 და 103	450
16	110—დამ 115—მდი	750
ჭანდარის	არხზედ 104—დამ 107—	500
სულ		4,784 დესიატინა.

გამოვიდა და ისყიდება „ოლი ვიტირო, თუ ფული?“

ქომედია ალე. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ზიმშეროვთან, **თელავს**—**იოსებ** ქუზმანაშვილთან, **ქარელ**ს—**დავით** ქეროჩაშვილთან, **ხაშურისა** და **ბეჟათუბნის** ბუფეტში, **სურამს**—**ზაქარია** არუწოვთან, **ქუთაისს**—**იაკობ** ოჭანეზოვთან და სვ. **ცერვაძესთან** **ფოთში**—**ელისბარ** ბაბალოვთან, **ცხინვალს**—**თ. ივ. თაქთაქოვთან**, **სოქაშეთს**—**თ. ნიკ. ბიასამძესთან**, **მეჯერისხევს**—**მასწ. მოსე** ნათაძესთან, **ბორში**—**სტ. ზომოევთან** და **თვითონ** ავტორთან.

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა. . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ეკირლა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
ფოთი . .	9	13						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ეკირლა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	35	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) **თფილისიდან:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქანეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში	
და სამზღვარ გარეთ:	
ლი წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 13 თებერ.		
ერთი ინგლისი ლირა:		
ლონდონში 23 ივნისი.		
პარიჟში 271 სანტიმი.	—	78
ესკონტი(სარგებლისფასი)	—	62
ბანკის ბილეთი 5%	7	-
მოგებიანი(პირველის ხ.	96	»
მოგებიან. (მეორე სესხი)	233	50
	234	—
ბირაოს ფურცლები:		
ფილ. საზზ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკი	83	25
მოსკოვის . .	83	50
ოქრო ½ იმპერიალი.	7	60
აქციები:		
ოდესის საკაბრო ბანკის	177	—
ფოთი-თფილ.რკინ.გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემებ.	527	—
კავკაზის და მერკური.	225	—
პირვ. სახლვევ. სახ. ბ.	745	50
პეტერბ. სახლვევ. ხ. ბ.	235	50
მოსკოვის სახლვევ. სახ.	268	—

მაზანდა

	ვან	კაპ
თფილისი, 15 თებერ.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	90
ფქვილი წითელი . .	1	70
ქერი ფუთი . . .	1	40
ბაზმა ერევნისა, ფუთი .	8	—
— ამერიკისა, ფუთი . .	8	30
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	12	—
მატყლი თუშური ფთ.	8	40
—თარაქამისა ფთ. .	4	30
ბბრეტუნი ტუბური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. . .	6	40
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	14	40
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	90
—ცხვრისა, ლიტრა .	—	90
სპირტი, ვოდკა .	—	15
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	80
—ფხვნილი ფუთი . .	5	90
ტყავ ბოგვალი, ბირკ. .	—	80
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	50
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	—

Дозволено цензурою Тифлисъ, 16 Февраля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი